ოქმი:**ო63. 6325267001**
თარიღი:**24/09/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ.სამტრედია 24 სექტემბერი, 2025 წელი.

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, მაია ტალაბაძე, მერაბ უღრელიძე, ლიზა კრავეიშვილი, პაატა, კოხრეიძე, დავით ნიკოლეიშვილი, ვალერიანე ფოცხვერია.

ასევე სხდომას ესწრებოდა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი:

1.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/ კომისიის თავმჯდომარე: მანანა სირბილაძე /

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა 7 (ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 7 (ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, N54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N54/46 22.09.2025 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება აქტის გამოცემის მე-14 დღიდან.

(წერილობით მომართვას თან ახლავს სამტრედიის მუნიციოპალიტეტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ N54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 21 სექტემბრის N20/2025 განკარგულების ასლი, საკრებულოს წევრობის კანდიდატის სააღრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობის ასლი.)

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა 7 (ხმით) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილი /

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი